წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ გრიგოლ ყურაშვილს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სარეკომენდაციო წერილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ დებულების შესაბამისად განიხილა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი.

საბჭომ ძირითადად მოიწონა აღნიშნული პროექტი და რეკომენდაციას იძლევა, წარდგენილი იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად.

დანართი ,,4" ფურცლად

პატივისცემით,

მრჩეველთა საბჭოს მდივანი: მ. ჭავჭანიძე

09.12.2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი

№2 2025 წლის 26 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

ესწრებოდნენ:
მრჩეველთა საბჭოს წევრები: ე. გედენიძე, ნ. გურეშიძე, დ. მესხი, თ. ფირცხალავა, მ. ჩაკვეტაძე, მ.ჭავჭანიძე, გ. ტყაბლაძე, ნ.ჯოხაძე, გ.ჩიხლაძე, მ. ღურჭუმელიძე, ლ.ჩაკვეტაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გ. ბალანჩივაძე,
მერის მოადგილე გ. კვასტიანი,

მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი თანამდებობის პირები: მ. ჩხეიძე, ფ. გაგოშიძე, ვ. ნადარეიშვილი, ნ. ჩაკვეტაძე, ნ. გახოკიძე, მ. ჭელიძე, ა.ზვიადაძე, თ.ლომთაძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

   გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

   მ. ჩხეიძე - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

   გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერის გ. ბალანჩივაძის ინფორმაცია. აღინიშნა რომ რეკომენდაციების შესაბამისად საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პარალელურად, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები ჩატარდა ლერმონტოვის, ბარათაშვილის, თბილისისა და შანიძის ქუჩებზე, მოშანდაკდა კოლხეთის ქუჩის ნაწილი, ამ ეტაპზე ბესიკისა და თაყაიშვილის ქუჩებზე მიმდინარეობს გზების შეკეთების მოსამზადებელი სამუშაოები. წყალარინების ქსელის მოწყობის პარალელურად, გაგრძელდება გზების შეკეთების სამუშაოებიც.

ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური პარკის გარე წრეზე და პარკის შიდა ტერიტორიაზე სრულად შეიცვალა ყველა დაზიანებული სანათი, გ.ტაბიძის ქუჩაზე მიმდინარეობს ქსელის რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოს დანარჩენ ნაწილში ეტაპობრივად ხდება ძველი სანათების ახლით ჩანაცვლება.

სასტუმრო პრომეთეს წინ, მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით მომზადდა შესაბამისი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხელოვნური კუნძულის, კუნძულზე საათის, ახალი საგზაო მონიშვნის და ორმხრივი მოძრაობის ზოლების მოწყობას.

თამარ მეფის ქუჩაზე არსებული დასახლება და ჭავჭავაძის ქუჩის ცენტრალურ ნაწილში არსებული ბინების ფასადების რეაბილიტაციის დასაფინანსებლად ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმდინარეობს კონსულტაციები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ზ. ჯანელიძემ, მ. ჩაკვეტაძემ, ფ. გაგოშიძემ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია - მიღებულ იქნას ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ - მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მ. ჩხეიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში 4.5 მლნ ლარია მიმართული ადგგილობრივი ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამული მუხლებიდან საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის.

გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: გეგუთში, ზარათში, მაღლაკში, ქვილიშორში, ქვიტირში, ცხუნკურში ქუჩებისა და ჩიხების, ასევე ქალაქ წყალტუბოში აფხაზეთის,

ბარათაშვილის, ჩახრუხაძის და ხანძთელის ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 2950000 ლარი.

დასრულდა სოციალურად დაუცველი შვიდი ოჯახისათვის კერძო ტიპიური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 428399 ლარი.

გაფორმდა 29 ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება, მათი ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 6 320 792 ლარია, პროექტები გარდამავალია და მთლიანად დასრულდება 2026 წელს. სამუშაოები განხორციელდება სოფელ ხომულში, სოფელ გვიშტიბში ბენდელიანების, კირთაძეების, ნიჟარაძეებისა და ჩავჩიძეების უბნებში. სოფელ თერნალში და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში, სოფელ ქვიტირში სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანში, სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, სოფელ ყუმისთავში ბაღათურიების უბანში, ასევე სვანიძეებისა და სილაგაძეების უბნების დამაკავშირებელი გზაზე, სოფელ წყალტუბოში, სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში, ასევე სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა სასოფლო გზებზე.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ნ. ჯოხაძემ, თ. ფირცხალავამ, ზ. ჯანელიძემ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ - მერიის ინფრასტრუქტურის,კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის მ. ჩხეიძის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. აღინიშნა, რომ 2025 წელთან მიმართებაში, 2026 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 3 124,7 ათასი ლარით და ის განსაზღვრულია 38 500 000 ათასი ლარით. პროექტით პრიორიტეტების მიხედვით - ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებულია 9 368,9 ათასი ლარი, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 2 228,9 ათასი ლარი, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისათვის - 250,0 ათასი ლარი, წყლის სისტემების განვითარებისათვის - 850,0 ათასი ლარი, გარე განათებისათვის - 875,0 ათასი ლარი, ავარიული სახლების რეაბილიტაციისათვის - 760,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისათვის 350,0 ათასი ლარი, დასუფთავებისა და გარემოს დაცვისათვის - 2 903,6 ათასი ლარი.

ამასთან, განათლებისთვის გათვალისწინებულია 7 862,3 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის განვითარებისათვის - 6 412.6 ათასი ლარი, სპორტული ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაციისთვის - 150.0 ათასი

ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის- 3 875,6 ათასი ლარი, სოციალური პროგრამებისათვის - 2 618,5 ათასი ლარი, გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება, წარჩინებული სტუდენტების ყოველთვიური სტიპენდია და ა. შ. სულ იმოქმედებს 17 სოციალური პროგრამა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ნ. ჩაკვეტაძემ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ სოციალურ პროგრამებზე; გ. ბალანჩივაძემ, ფ. გაგოშიძემ, რომლებმაც ამომწურავად უპასუხეს სხდომის მონაწილეთა შეკითხვებს; დ. მესხმა, თ. ფირცხალავამ, მ. ჩაკვეტაძემ, ზ.ჯანელიძემ, რომლებმაც ძირითადად მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე